ფაკულტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
პროგრამის ხელმძღვანელი	ლევან ბარამიძე
პროგრამის მოცულობა	120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები	სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მიზანია სწავლის შედეგებზე და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პროფესიული კომპეტენციის გამოყენებაზე ფოკუსირებული მიდგომით მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საქმიანობის, ინდივიდისა და თემის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის, რომელთაც ექნებათ ცოდნა და უნარები სხვადასხვა მიმართულებით ორგანიზებული აქტივობებით მოახდინონ: 1. ჯანმრთელობის საჭიროებების შესაბამისი მონაცემების რეგულარული და სისტემური შეგროვება, ანალიზი, და ინფორმაციის გენერირება; 2. სრულყოფილი, მტკიცებულებებზე დამყარებული, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და გატარება; 3. მოსახლეობისათვის საჭირო სერვისების მიწოდება, სერვისების დაგეგმვის შესაბამისი ორგანიზების უზრუნვეყოფით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვება რეგულირდება საქართველოს კანონ-მდებლობით დადგენილი წესისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის შესახებ დებულებით :

	მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიურ ხარისხის მქონე პირებს ჯანდაცვის, აგრეთვე ბიზნესის, ადმინისტრირებისა და სამართლის სფეროში.
სწავლების მეთოდები	**სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:** ლექცია შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული. ამასთან, ფაქტები, მაგალითები, სქემები, ნახაზები, ცდები და სხვა თვალსაჩინოებანი უნდა ემსახურებოდეს ლექციის იდეის ახსნას. ლექციამ უნდა უზრუნველყოს მეცნიერების დიალექტიკური პროცესის სწორი ანალიზი და უნდა აიგოს კონკრეტულ გარემოში სტუდენტთა თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობის, ძირითად მეცნიერულ პრობლემათა შეცნობასა და გაგებაზე ორიენტირებით. ➢ პრაქტიკული მუშაობა დანიშნულებაა კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობითი შესწავლა, რაც თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, ნახაზების, ესკიზების, სქემების შესრულებაზე, გაანგარიშებებში შესაბამისი ტექნიკის გამოყენებაზე და სხვ. ➢ პრაქტიკა (სასწავლო და საწარმოო) ემსახურება სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და

	განმტკიცებას. იგი ანვითარებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, შესწავლილი საგნისათვის დამახასიათებელი მეთოდების გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად. აერთიანებს სწავლების ყველა იმ მეთოდს, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ. ➢ საკურსო სამუშაო/პროექტი შემოქმედებითი პროცესია. სწავლების პერიოდში სტუდენტი ასრულებს გრაფიკულ მოცემულობებსა და საკურსო პროექტებს, რომლებიც, ფაქტობრივად, სტუდენტის პირველი დამოუკიდებელი სამუშაოა, თუმცა პედაგოგის ხელმძღვანელობით ხორციელდება. ➢ სამაგისტრო ნაშრომი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ცალკეული საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ საწარმოო ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს გამოცდილი პედაგოგი.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	პროგრამაზე სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.2007 (ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად და რეგულირდება თსსუ–ის სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგი სასწავლო კურსში/მოდულში ფასდება მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების

	საფუძველზე. (06.11.2020, N24/7) შეფასების სისტემა გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. შეფასების სისტემა ტრანსპარენტულია, უზრუნველყოფილია კრიტერიუმების საჯაროობით, ცოდნისა და უნარების შეფასების რელევანტური მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით.შეფასების კრიტერიუმები მორგებულია საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტზე და ეფუძნება საერთო აკადემიური მოსწრების საშუალო მონაცემს. სტუდენტის ცოდნის და მიღწევების შეფასების სისტემა არის ღია, გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, ითვალისწინებს დარგის და სასწავლო კურსის სპეციფიკას, თავისებურებებს და მოიცავს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასების შესაბამის ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს. პროგრამა სრულად იზიარებს და ახორციელებს თსსუ-ში არსებულ შემდეგ მიდგომას: **- შეფასების ფორმები** – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების კომპონენტები – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.); **შეფასების მეთოდი** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ);

	შეფასების კრიტერიუმი – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. **სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.** (06.11.2020, N24/7). **შუალედური შეფასება** წარმოადგენს სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების კომპონენტების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით. (06.11.2020, N24/7) შეფასების სისტემა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. თანაფარდობა შუალედურ და ფინალურ შეფასებებს შორის შემდეგია: 60+40=100. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასება:დადებითია სტუდენტის მიერ 24 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60% და მეტი) მიღების შემთხვევაში სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის შეფასების ცალკეულ ფორმაში (შუალედური, დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია პროგრამაში. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კომპონენეტში არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეფასების სისტემა პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა, მისი კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსის სწავლის შედეგებს შეესაბამება. შუალედური და დასკვნითი შეფასებები ხორციელდება რამდენიმე კომპონენტის მიხედვით: შუალედური (მაქს. 60) - აქტივობა, დისკუსიაში მონაწილეობა, საშინაო დავალება, სემინარზე მუშაობა, პრაქტიკული სამუშაო, წერითი ნაშრომი, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია. დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით და შეიძლება მოიცავდეს ერთს ან რამდენიმე კომპონენტს (წერითი ტესტი,

	ზეპირი პასუხი, პრაქტიკული უნარების დემონსტრაცია.).შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: „სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტში სტუდენტის შეფასების ცალკეულ ფორმაში (შუალედური, დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია პროგრამაში. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენეტში არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს“ დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 24 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 60% და მეტი) მიღების შემთხვევაში. შეფასების კრიტერიუმებით ხდება სტუდენტების მიღწევის გაკონტროლება, მის მიერ ბარიერის დაძლევა გულისხმობს სწავლის დასახული შედეგების მიღწევას. პროგრამის სასწავლო კურსების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა. ამის უზრუნველსაყოფად შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში, გამჭვირვალე და წინასწარ ხელმისაწვდომი და ცნობილია სტუდენტისთვის. სილაბუსში გაწერილი რუბრიკებისა და ქულების გრადაციის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას მიღწეული ცოდნის დონის შესაბამისად თუ როგორ შეფასებას იღებს. მეორე მხრივ, შეფასების თითოეული კომპონენტისთვის დეტალურად გაწერილი რუბრიკები და კონკრეტულად ჩამოყალიბებული კრიტერიუმები საშუალებას აძლევს პედაგოგს ობიექტურად და სამართლიანად შეაფასოს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები კონკრეტულ საგანში. ამასთანავე, შეფასების სანდოობის უზრუნველსაყოფად, სტუდენტის შეფასების პროცესში მონაწილეობს ერთზე მეტი შემფასებელი. შეფასების სისტემა გულისხმობს: ა) ხუთი სახის

	დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი - 91ქულა და მეტი, ა.ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა, ა.გ) (C) კარგი - 71-80 ქულა, ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა, ა.ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა, ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (Fx) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის საგანში დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა. საგამოცდო და საბოლოო შეფასება სტუდენტისთვის ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებისთანავე. შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია მათი გამოცხადებიდან დადგენილ ვადებში და დადგენილი ფორმით, რომელიც ცნობილია სტუდენტისთვის. სამაგისტრო პროგრამაში პრაქტიკის კომპენენტის შეფასება ხდება განსხვავებული ფორმატით (მოცემულია შესაბამის სილაბუსში) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის – სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული შეფასების და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მა-გისტრატურის დებულების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომს აფასებენ 0-100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება დგინდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკულით. სამაგისტრო ნაშრომის 51 და მეტი

	ქულით შეფასებისას ნაშრომი ითვლება დაცულად შეფასების ქულათა შემდეგი გრადაციით: 91-100 ქულა – საუკეთესო ნაშრომი, 81-90 ქულა – ძალიან კარგი ნაშრომი, 71-80 ქულა – კარგი ნაშრომი, 61-70 ქულა – საშუალო დონის ნაშრომი, 51-60 ქულა – დამაკმაყოფილებელი ნაშრომი, 0-50 ქულა – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი ორივე რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის ან საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს თანხმობით. სამაგისტრო ნაშრომი დასაცავად შეიძლება წარდგენილ იქნეს არაუმეტეს ორჯერ, სასწავლო კომპონენტის შენახვით. მაგისტრანტმა განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს თსსუ-ის შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს დაცვამდე 1 თვით ადრე. უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრანტთა შეფასება ხორციელდება საჯაროდ, 2018 წლიდან დაინერგა შეფასების ელექტრონული სისტემა. უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება თსსუ-ში არსებულ საუნივერსიტეტო ნორმატივის შესაბამისად. დებულებაში "თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ" შევიდა ცვლილება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის №24/4 დადგენილებით. შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი. - სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის/სკოლისწარმომადგენლები, პროფილური სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელები, რეცენზენტები და შესაბამისი დარგის/სპეციალობის მეცნიერები. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება სულმცირე 5 წევრით. სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას

	ესწრება კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3. 10. - სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდეგ ფაკულტეტის/სკოლის საბჭო გამოყოფს 2 რეცენზენტს. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და/ან სამეცნიერო კომპონენტის შესრულებაში ჩართული პირი. - რეცენზენტებმა წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ სამაგისტრო ნაშრომის სარეცენზიოდ მიღებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში. დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს, რამდენად აკმაყოფილებს წარმოდგენილი ნაშრომიმისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, დადასტურებული უნდა იყოს, რომ დეკლარირებული შედეგები არ წარმოადგენს ადრე დაცული რომელიმე ნაშრომის შედეგების გამეორებას და განისაზღვროს ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვებისმი ზანშეწონილება. - სამაგისტრო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვება შესაძლებელია ერთი რეცენზენტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურა ითვალისწინებს: • სამაგისტრო ნაშრომის მოხსენებას (15-20 წთ), • დისკუსიას, • რეცენზენტების მიერ ნაშრომის შეფასებას, • საბოლოო შეფასებას. ორივე რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის ან საჯარო დაცვაზე სამაგისტრო ნაშრომის 51 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში განმეორებითი დაცვა შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომების მომდევნო დაცვაზე, შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს თანხმობით. ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამის შეფასების სისტემის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე
სწავლის შედეგები	**ცოდნა გაცნობიერება** **პროგრამის კურსდამთავრებულს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრს:** 1. **აქვს საქმიანობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა** და მისი კრიტიკული გააზრება, მან იცის: **1.1.** ეპიდემიოლოგიური კვლევისთვის საჭირო

	მონაცემთა შეგროვების პროცედურები, პოპულაციის ჯანმრთელობისა და რისკების შეფასების მეთოდები, აცნობიერებს ეპიდემიური პროცესების გავლენას პოპულაციაზე, იცის ექსპოზიციის შეფასების პრინციპები და ჯანმრთელობის ეფექტების შეფასება; **1.2.** პროფესიული ჯანმრთელობის დარღვევის განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობა, გარემოს (ჰაერის, წყლის, ნიადაგის) დაბინძურების წყაროები; ჯანმრთელობაზე მათი მავნე ზეგავლენა და ამ მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების გზები; **1.3.** ინდივიდუალური და ინტერპერსონალური ქცევის ცვლილების მოდელები, თემის და ჯგუფის ჯანსაღი ქცევის მოდელები ჯანდაცვის სფეროში, ინტერვენციების დიზაინი და მართვა, სოციალური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; **1.4.** ჯანდაცვის სისტემების და ჯანდაცვის სისტემების შეფასების კონცეპტუალური მოდელები, ჯანდაცვის სისტემების განვითარების საერთაშორისო და ადგილობრივი ტენდენციები, ჯანდავის ფინანსური მენეჯმენტის სისტემები და ჯანდაცვის სერვისების ადმინისტრირება, სერვისების მისაწოდებლლად რესურსების გენერირებაში ინვესტიციისათვის საჭირო საკმარისი დაფინანსება. **ასევვე,** საერთაშორისო კონვენციები და რეგულაციები რომლებიც განაპირობებენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკასა და პრქტიკასთან დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკისა და კანონმდებლობის ჩამოყალიბებას. **უნარი** 1. **შეუძლია:** 2.1. კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატუსის მონიტორინგის და შეფასების, ჯანმრთელობის პრობლემის დიაგნოზსა და გამოკვლევის მიზნით; 2.2. კონკრეტული მოცემულობების გათვალისწინებით

	მოახდინოს, თემის მობილიზაცია ჯანმრთელობის პრობლემის მოსაგვარებლად და მოსახლეობის ინფორმირება და განათლება ჯანდაცვით საკითებში; 2.3. მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტა ასევე პრობლემათა გადაჭრისათვის, ახალი, ორიგინალური გზების ძიება, რაც ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერვენციების შემუშავებას და მათი იმპლემენტაციისათვის, მტკიცებულებებზე დაფუნებული ინფორმირებული გადაყვეტილებების მიღებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკისა და გეგმის შემუშავებას, ჯანმრთელობის სერვისების შეფასება 2.4 კვლევის ჩატარება ინოვაციური მიდგომების შესაქმნელად **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** **შეუძლია** : 3.1. საკუთარი უწყვეტი განათლების ვექტორის განსაზღვრა გარემოს და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცოდნის გაღრმავების სტრატეგიის ავტონომიურად ჩამოყალიბება, ცოდნის თანამიმდევრული და კომპლექსური თვითშეფასება და მომავალი სწავლის სტრატეგიის შემუშავება. 3.2. საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება, რესურსების განაწილებისა და მარეგულირებელი აქტივობების გამოცემის ჩათვლით, რაც მოახდენს გავლენას საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულ ინსტიტუციურ ქსელსა და სხვა მონაწილეებზე.
კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები	საზოგადოებრივი ჯანდაცვა ის სფეროა, რომელიც მოიცავს სამუშაო ადგილების ფართო სპექტრს. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, შესაძლებლობა ექნება იმუშაოს სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებში, ეროვნულ თუ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში, ჩაერთოს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროფილაქტიკური და ჯანდაცვის

	ხელშემწყობი პროგრამების შემუშავების პროცესში, დაგეგმვის, განხორციელების და კონსულტირების გზით. გარდა ამისა, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს, შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ჯანმრთელობის სოციალურ სამსახურებსა და დაწესებულებებში, მათ შორის, სადაზღვევო კომპანიებში, საზოგადოებრივ და კერძო ჯანდაცვის დაწესებულებებსა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებში.